ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 79

ქალაქი ქუთაისი 29 ივლისი 2026 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2026 წლის 10 ივლისის მე–20 სხდომის გადაწყვეტილების ცნობად მიღების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის 8^1 ქვეპუნქტის, 28–ე მუხლის მე–2 პუნქტის, ამავე მუხლის 2^2 პუნქტის, 30^1 მუხლის 1-ელი და მე-3 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61–ე მუხლის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-6 პუნქტის, 36-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე:

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2026 წლის 10 ივლისის მე-20 სხდომის შემდეგი გადაწყვეტილება:

„**მუხლი 1.** დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტები.

მუხლი 2. განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში კომისიის წევრთა რაოდენობა შემდეგნაირად:

1. საკრებულოს **იურიდიულ საკითხთა** კომისიაში – საკრებულოს 10 წევრი;
2. საკრებულოს **საფინანსო–საბიუჯეტო** კომისიაში – საკრებულოს 11 წევრი;
3. საკრებულოს **ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის** კომისიაში – საკრებულოს 11 წევრი;
4. საკრებულოს **კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის** კომისიაში – საკრებულოს 10 წევრი;
5. საკრებულოს **ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა** კომისიაში – საკრებულოს 8 წევრი.

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო
გას. № 79
30.07.2026 წ.

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მუხლი 3. დამტკიცდეს პარტია „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველოს“ წარდგინებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არჩეულ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთაგან საკრებულოში შექმნილი ფრაქცია **„ქართული ოცნების“** მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობებში წევრთა წარდგენის პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები (კვოტების რაოდენობა ფრაქციის 16 წევრისათვის – 32) შემდეგნაირად:

1. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში – 7 წევრის ოდენობით;

2. საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიაში – 7 წევრის ოდენობით;

3. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში – 7 წევრის ოდენობით;

4. საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიაში – 6 წევრის ოდენობით;

5. საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში – 5 წევრის ოდენობით.

მუხლი 4. დამტკიცდეს პარტია „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველოს“ წარდგინებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არჩეულ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთაგან საკრებულოში შექმნილი ფრაქცია **„ხალხის ძალის“** მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობებში წევრთა წარდგენის პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები (კვოტების რაოდენობა ფრაქციის 3 წევრისათვის – 6) შემდეგნაირად:

1. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში – 1 წევრის ოდენობით;

2. საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიაში – 1 წევრის ოდენობით;

3. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში – 1 წევრის ოდენობით;

4. საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიაში – 2 წევრის ოდენობით;

5. საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში – 1 წევრის ოდენობით.

მუხლი 5. დამტკიცდეს პარტია „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველოს“ წარდგინებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არჩეულ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთაგან საკრებულოში შექმნილი ფრაქცია **„ევროპელი სოციალისტების“** მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობებში წევრთა წარდგენის პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები (კვოტების რაოდენობა ფრაქციის 3 წევრისათვის – 6) შემდეგნაირად:

1. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში – 1 წევრის ოდენობით;

2. საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიაში – 1 წევრის ოდენობით;

3. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში – 2 წევრის ოდენობით;

4. საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიაში – 1 წევრის ოდენობით;

5. საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში – 1 წევრის ოდენობით.

მუხლი 6. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობებში საკრებულოს იმ წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები, რომლებიც გაერთიანებულნი არიან საკრებულოს არცერთ ფრაქციაში (კვოტების რაოდენობა საკრებულოს 3 წევრისათვის – 6) შემდეგნაირად:

1. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში – 1 წევრის ოდენობით;

2. საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიაში – 2 წევრის ოდენობით;

3. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში – 1 წევრის ოდენობით;

4 საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიაში – 1 წევრის ოდენობით;

5. საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში – 1 წევრის ოდენობით.".

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 10 დეკემბრის №44 განკარგულება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2025 წლის 8 დეკემბრის მე-4 სხდომის გადაწყვეტილების ცნობად მიღების თაობაზე".

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ გიორგი ჭიჭინაძე